



ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მუნიციპალური პროგრამები და გენდერული ბიუჯეტი



მონიტორინგის ანგარიში

ფონდი „სოხუმი“

ნოემბერი, 2020

1. შესავალი	3
2. მონიტორინგის მიგნებები	5
2.1. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე პასუხისმგებელი სამსახურები ადგილობრივ თვითმმართველობაში.....	5
2.2. ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული პროგრამები ადგილობრივ ბიუჯეტებში	6
❖ წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	7
❖ ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	7
❖ ზუგდიდის მუნიციპალიტეტი.....	7
❖ ხონის მუნიციპალიტეტი	8
❖ ფოთის მუნიციპალიტეტი.....	8
❖ ქუთაისის მუნიციპალიტეტი.....	9
❖ სენაკის მუნიციპალიტეტი	9
❖ წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	10
❖ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	10
❖ თერჯოლის მუნიციპალიტეტი	10
❖ ბაღდათის მუნიციპალიტეტი.....	11
❖ ქობულეთის მუნიციპალიტეტი	11
2.3. მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებათა კვლევა და მონაცემებზე დაფუძნებული პროგრამების შემუშავება	12
2.4. თვითმმართველობის თანამშრომელთა გადამზადება გენდერულ საკითხებში	13
2.5. კოორდინაცია - რეფერირების სუბიექტებთან თანამშრომლობა	14
3. დასკვნა და რეკომენდაციები	15

დაიბეჭდა გერმანიის საერთაშორისო ორგანიზაციის



**Brot
für die Welt**

Brot für die Welt –
Evangelischer
Entwicklungsdienst

მხარდაჭერით

გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ
გამოხატავდეს დონორი ორგანიზაციის მოსაზრებებს

ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მუნიციპალური პროგრამები და გენდერული ბიუჯეტი

1. შესავალი

ქალთა დისკრიმინაციისგან დაცვა და მათთვის მამაკაცებთან თანაბარი უფლებებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფა გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით. ამასთან, სახელმწიფო იღებს პოზიტიურ ვალდებულებას, მიმართოს განსაკუთრებულ ზომებს მამაკაცებისა და ქალების არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად.¹ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების როლი და პასუხისმგებლობა ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის უზრუნველსაყოფად და ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის გასატარებლად საკმაოდ მაღალია.

საქართველოში ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა თვისებრივად ახალ ეტაპზე გადავიდა 2017 წელს „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის (შემდგომში - სტამბოლის კონვენციის) რატიფიკაციის შემდეგ². კონვენცია ითვალისწინებს რეგიონულ, ადგილობრივ დონეზე ღონისძიებების განხორციელებას ამ აქტის მიზნების უკეთ რეალიზებისათვის.

კონვენციასთან საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციის მიზნით, ცვლილება შევიდა სხვადასხვა საკანონმდებლო აქტში. მათ შორის, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში, რომელშიც განისაზღვრა, რომ მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია, განახორციელოს ღონისძიებები - გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციის, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მიზნით.³

„გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების თანახმად, მუნიციპალიტეტის ორგანოები, საკანონმდებლო აქტებისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების შესაბამისად, ვალდებული არიან, შეიმუშაონ და განახორციელონ შესაბამისი ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იქნება ადგილებზე დისკრიმინაციის გამოვლენისა და აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად. მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის დანერგვისა და მისი ჯეროვანი გატარების უზრუნველყოფის მიზნით ადგილობრივ დონეზე შეიქმნა გენდერული თანასწორობის მექანიზმები - მერიაში გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირის და საკრებულოში გენდერული თანასწორობის საბჭოს სახით.⁴ კანონით ასევე განისაზღვრა, რომ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები, მუნიციპალური პროგრამები და გეგმები იმგვარად უნდა შემუშავდეს, რომ გამოირიცხოს ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაცია.⁵

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრობლემის კომპლექსურობიდან გამომდინარე, მის წინააღმდეგ ბრძოლაში მრავალი სახელმწიფო სტრუქტურაა ჩაბმული. ამ ბრძოლის ეფექტიანობა

¹ საქართველოს კონსტიტუცია, მუხ.: 11.1, 11.3; ხელმისაწვდომია - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35>

² ევროპის საბჭოს 2011 წლის კონვენცია „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ (ე.წ. სტამბოლის კონვენცია); ხელმისაწვდომია - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3789678?publication=0>

³ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხ.: 16.4; ხელმისაწვდომია - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=41>

⁴ საქართველოს კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“, მუხ.: 13.1, 1¹ 1²; ხელმისაწვდომია - <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/91624?publication=9>

⁵ იგივე, მუხ.: 13.

პირდაპირპროპორციულადაა დამოკიდებული ძალადობის წინააღმდეგ მოქმედი ყველა უწყების მიერ დაკისრებული როლის გააზრებასა და მოვალეობათა პირნათლად შესრულებაზე. **სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად**, აღმასრულებელი ხელისუფლების ფარგლებში, შეიქმნა გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია⁶, რომლის უმთავრესი ამოცანაა სტამბოლის კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ძალადობის ყველა ფორმის პრევენციისა და აღკვეთისაკენ მიმართული პოლიტიკისა და განხორციელებული ზომების კოორდინაცია, განხორციელებაზე მონიტორინგი და შეფასება.⁷ უწყებათაშორისი კომისიის წევრია საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველი რეგიონალურ საკითხებში⁸, რომლის ამოცანაა, უზრუნველყოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და მუნიციპალიტეტებს შორის ურთიერთობის კოორდინაცია.⁹

ადილობრივ დონეზე გენდერული პოლიტიკის ჯეროვნად გატარებისთვის უმნიშვნელოვანესია გენდერული პოლიტიკისა და გენდერული ბიუჯეტირების დანერგვა. გენდერული ბიუჯეტირება გულისხმობს გენდერული პერსპექტივის ინტეგრირებას საბიუჯეტო პროცესის ყველა დონეზე და შემოსავლებისა და ხარჯების გადანაწილებას გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისათვის.

ამ ეტაპზე, ადგილობრივ თვითმმართველობებში ბიუჯეტის პროექტის დაგეგმვა აქტიურ ფაზაშია, რაც მნიშვნელოვნად ზრდის აღნიშნულ პროცესში მოქალაქეებთან აქტიური კონსულტაციების ჩატარების, ბიუჯეტის პროექტის დაგეგმვისა და განხილვის პროცესში მათი ჩართულობის უზრუნველყოფის აუცილებლობას, მათი საჭიროებებისა და პრიორიტეტების 2021 წლის ბიუჯეტში ინტეგრირებისა და ასახვის მიზნით. **2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტებში გენდერული თანასწორობის და ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობისგან დაცვის და ძალადობის პრევენციის ღონისძიებებისთვის საჭირო ფინანსური რესურსების გამოყოფის და გათვალისწინების ადვოკატირების მიზნით**, ფონდი „სოხუმის“ მიერ სამიზნე მუნიციპალიტეტებში¹⁰ ჩატარდა მუნიციპალური ბიუჯეტის, ადგილობრივი პოლიტიკისა და პრაქტიკის მონიტორინგი ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მიმართულებით განხორციელებულ ღონისძიებებზე.

აღნიშნული მონიტორინგის მთავარ ამოცანებს წარმოადგენს: ა) **2020 წლის ბიუჯეტებში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის და ძალადობის პრევენციის პროგრამების განხორციელებისათვის გამოყოფილი რესურსების შესწავლა და პროგრამების განხორციელების ეფექტიანობის გამოვლენა;** ბ) **გენდერული თანასწორობის მისაღწევად და ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად შემუშავებული ადგილობრივი პოლიტიკის შესწავლა;** გ) **გამოვლენილი გამოწვევების ანალიზის საფუძველზე შესაბამისი სარეკომენდაციო ინიციატივების შემუშავება და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებისთვის შეთავაზება.**

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა სამიზნე მუნიციპალიტეტებში ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და ძალადობის პრევენციის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების

⁶ იგივე, მუხ. 12.6

⁷ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 12 ივნისის №286 დადგენილებით დამტკიცებული „გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის დებულება“, მუხ.: 4.ლ;

ხელმისაწვდომია - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3698004?publication=0>

⁸ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 25 მარტის №155 დადგენილება „გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 12 ივნისის №286 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“;

ხელმისაწვდომია - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4517992?publication=0>

⁹ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 26 ივნისის №340 დადგენილება „საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების თაობაზე“ მუხ.: 2.ლ; ხელმისაწვდომია - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4234622?publication=0>

¹⁰ მონიტორინგის ჯგუფმა შეისწავლა დასავლეთ საქართველოს 12 მუნიციპალიტეტი: ქუთაისი, წყალტუბო, ხონი, ბაღდათი, თერჯოლა, წალენჯიხა, ფოთი, სენაკი, ზუგდიდი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ქობულეთი.

თვალსაზრისით განსხვავებული მდგომარეობა და პრაქტიკა. რიგ მუნიციპალიტეტებში იკვეთება **შესამჩნევი პროგრესი** გენდერული თანასწორობის პოლიტიკის გატარებისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ქალთა მხარდაჭერის სერვისების დანერგვის თვალსაზრისით. თუმცა ამავე დროს აშკარაა გენდერული თანასწორობის მექანიზმების მუშაობის გაძლიერებისა და კიდევ უფრო ეფექტიანი და ძალადობის მსხვერპლის საჭიროებაზე მორგებული პროგრამების დანერგვის აუცილებლობა. ზოგიერთ მუნიციპალიტეტში მძაფრად იკვეთება ადგილობრივი თანამდებობის პირთა **გენდერული თანასწორობის საკითხებისადმი საკმაოდ სუსტი მგრძობელობა და ინფორმირებულობისა და შესაბამისი კვალიფიკაციის დეფიციტი**. საკმაოდ სუსტია მოქალაქეებთან, კერძოდ კი მოწყვლად ჯგუფებთან, კომუნიკაციის, კონსულტაციის და მათი სპეციფიკური საჭიროებების შესწავლის პრაქტიკა. გამოწვევად რჩება მოქალაქეთა საჭიროებების გენდერულ ანალიზზე დაფუძნებული პროგრამებისა და ბიუჯეტის შემუშავება.

საკმაოდ დიდ გამოწვევას წარმოადგენს კოორდინაციის საკითხი როგორც ადგილობრივ შიდა უწყებრივ დონეზე, ასევე ცენტრალურ, სამხარეო ადმინისტრაციასა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის **თანამშრომლობის თვალსაზრისითაც**. არსებული მდგომარეობა კი ნათლად ავლენს ადგილებზე გენდერული პოლიტიკის, გენდერული თანასწორობის მისაღწევად და ქალთა მიმართ ძალადობის აღმოსაფხვრელად აუცილებელი პროგრამებისა და ღონისძიებების უკმარისობას.

2. მონიტორინგის მიგნებები

2.1. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე პასუხისმგებელი სამსახურები ადგილობრივ თვითმმართველობაში

უმრავლეს მუნიციპალიტეტში (ქუთაისი, ბაღდათი, ფოთი, სენაკი, თერჯოლა, წყალტუბო, ლანჩხუთი) ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე დახმარების პროგრამებს კურიერებს მერიის სოციალური (ან/და ჯანმრთელობის დაცვის) სამსახური და ყველა მათგანში არსებობს გენდერული თანასწორობის საბჭო და გენდერზე პასუხისმგებელი პირი.

მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის გატარებაზე პასუხისმგებელი სამსახურების არსებობის თვალსაზრისით შედარებით **სამაგალითოა ზუგდიდის, წალენჯიხის, ოზურგეთის და სენაკის მუნიციპალიტეტები**. საგულისხმოა, რომ აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში ზოგიერთი სამსახურის სახელწოდება პირდაპირ მიანიშნებს მათ პასუხისმგებლობაზე ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის ფაქტებზე რეაგირების მიმართულებით, მაგ.; სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის, სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის განყოფილება (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი).¹¹ გარდა ამისა, მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვისა და გენდერული თანასწორობის განყოფილება (წალენჯიხის მუნიციპალიტეტი)¹². წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, სხვა მუნიციპალიტეტებისგან განსხვავებით, მერიაში გამოყოფილია გენდერზე პასუხისმგებელი პირის ცალკე შტატი, რომელიც არ ითავსებს სხვა სახის ფუნქციებს. **ზუგდიდისა და სენაკში** მერის ბრძანების საფუძველზე ამოქმედდა ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების **უწყებათაშორისო კომისია**.¹³ **ოზურგეთის მუნიციპალიტეტის** ნორმატიულ აქტში არსებობს სპეციალური ჩანაწერი - **განათლებისა და გენდერულ**

¹¹ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №35 „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“; 2019 წლის 6 სექტემბერი; მე-5 მუხლი; ხელმისაწვდომია - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4650918?publication=2>

¹² წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №19, „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“; 2019 წლის 23 სექტემბერი, მე-5 მუხლი; ხელმისაწვდომია - <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4661882?publication=0>

¹³ მერის ბრძანება „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების უწყებათაშორისი კომისიის შექმნის შესახებ“; ხელმისაწვდომია - <http://zugdidi.mun.gov.ge/ge/zugdidi-municipalitetis-kalta-mimart-zaladobis-anda-ojaxshi-zaladobis-agkvetis-zaladobis-msxverplta>

საკითხთა განყოფილება¹⁴. ხონის მუნიციპალიტეტში კი - მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა და იბულებით გადაადგილებულ პირთა საქმეთა სამსახური ახდენს ძალადობის შესახებ კონკრეტული პროგრამებისა და საკითხების ინიცირებას. სამიზნე მუნიციპალიტეტებიდან ყველაზე რთული მდგომარეობა ქობულეთის მუნიციპალიტეტში ფიქსირდება. მიუხედავად იმისა, რომ ქობულეთში ჩამოყალიბებულია გენდერული თანასწორობის საბჭო და არსებობს გენდერზე პასუხისმგებელი პირი მერიაში, საკმაოდ სუსტია მათი გავლენა ადგილობრივ სოციალურ და გენდერულ პოლიტიკაზე.

2.2. ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული პროგრამები ადგილობრივ ბიუჯეტებში მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე მახასიათებელი, რომელიც ყველა მუნიციპალიტეტს აერთიანებს. ადგილობრივი თვითმმართველობის თითოეული ერთეულისათვის დახმარების გადასაცემად საერთო მოთხოვნად იკვეთება მსხვერპლის სტატუსი და რეგისტრაცია კონკრეტულ მუნიციპალურ ერთეულში.

მუნიციპალიტეტების უმრავლესობის მხრიდან მსხვერპლის მხარდასაჭერად, მსხვერპლისთვის სტატუსის ან პოლიციის ორდერის წინაპირობად განსაზღვრა რეალურად ავიწროებს ძალადობის მსხვერპლ ქალთა წრეს, რომელთათვის დახმარების მიღება გადაუდებელ საჭიროებას წარმოადგენს, მაგრამ თავს იკავებენ პოლიციაში მიმართვისგან ან/და თავშესაფარში განთავსებისგან.

გარდა ამისა, საკმაოდ დიდი გამოწვევაა ის, რომ მსხვერპლი ვერ იღებს დახმარებას ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, იქ, სადაც ცდილობს ინტეგრირებას და დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყებას. მით უფრო, რომ რეგისტრაციის ადგილის შეცვლა მისთვის დამატებით ძალისხმევასთან და ბიუროკრატიულ პროცედურებთანაა დაკავშირებული, რაც ხშირად სირთულეს წარმოადგენს. დახმარების რეგისტრაციის ადგილზე მიბმა პრობლემურია იმ მხრივაც, რომ მსხვერპლი, რომელსაც გამგეობა სთავაზობს ბინის ქირის დაფინანსებას, ხშირ შემთხვევაში ვერ იყენებს ამ შესაძლებლობას, რადგან არ სურს იმ გარემოში დაბრუნება, სადაც არსებობს მოძალადესთან შეხვედრის რისკი.¹⁵ შედეგად კი დახმარების და მხარდაჭერის გარეშე რჩებიან ისეთი მსხვერპლი ქალები, რომლებმაც, როგორც წესი, მცირეწლოვან შვილებთან ერთად ძალადობრივ გარემოს დააღწიეს თავი და რომელთათვის დროულ დახმარებას კრიტიკული მნიშვნელობა აქვს.

მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში არ არსებობს მკაფიოდ ფორმალიზებული გენდერული ბიუჯეტები და, შესაბამისად, ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ქალებზე გამოყოფილი მხარდაჭერის სერვისები და ფულადი დახმარებები ჩამოიშალა აქვთ სხვადასხვა სოციალურ და ჯანდაცვის პროგრამაში.

გენდერული ბიუჯეტი შედარებით სანიმუშოდ არის ასახული წალენჯიხის და ოზურგეთის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში. თუმცა ასევე უნდა გამოიყოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, რომლის ბიუჯეტის სხვადასხვა სოციალურ, თუ ჯანდაცვის მიმართულებაში საკმაოდ მკაფიოდ არის გამოკვეთილი გენდერული პროგრამები.

ქვემოთ მოცემულია ფონდი „სოხუმის“ სამიზნე მუნიციპალიტეტების ბიუჯეტში გათვალისწინებული პროგრამები, რომლებიც მიმართულია ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მხარდასაჭერად:

¹⁴ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №25, „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საკითხთა, ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“; 2019 წლის 29 ნოემბერი, მუხ.7; ხელმისაწვდომია - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4718066?publication=0>

¹⁵ სახალხო დამცველი - ოჯახში ძალადობისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებების (თავშესაფრის) მონიტორინგის ანგარიში, 2018 წ., გვ.: 21

❖ წალენჯიხის მუნიციპალიტეტი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტს გენდერული პროგრამებისთვის გაწერილი აქვს 6 ათასი ლარი. საკრებულოს 2019 წლის 26 დეკემბრის №27 დადგენილებით „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ II თავში გაწერილი აქვს 2020-23 წწ. პრიორიტეტები, პროგრამები და ქვეპროგრამები, სადაც ვხვდებით ცალკე ჩანაწერს - „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა“ (დაფინანსება 5 000, პროგრამული კოდი 06 09), განმახორციელებელი ორგანო - გენდერული თანასწორობის საბჭო¹⁶ და „ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და ძალადობის პრევენციის პროგრამა“ (1 000 ლ; პროგრამული კოდი - 06 02 09), რომლის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანოა - ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური.¹⁷ ბიუჯეტში აღნიშნულ პროგრამებზე არ არის დაკონკრეტებული ქვეპროგრამები, რაც გარკვეულწილად მოქნილს ხდის კონკრეტული პროგრამის ფარგლებში სახსრების განკარგვის სფეროს და შესაძლებლობას ქმნის, დახმარება გაეწიოს კონკრეტული ბენეფიციარის გადაუდებელ საჭიროებებს.

წლის დასაწყისიდან დღემდე მუნიციპალიტეტმა დახმარება გაუწია ძალადობის 3 მსხვერპლს. თითოეულ ბენეფიციარზე - ერთჯერადად - 200 ლ. ხოლო დარჩენილი თანხა მოხმარდა ერთჯერადი კვების ვაუჩერების სახით, Covid-19 პანდემიის გამოწვევის საპასუხოდ, განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფებს, რომელთა შორის არიან მრავალშვილიანი ოჯახები და რისკ-ჯგუფში მყოფ პირებს.

❖ ოზურგეთის მუნიციპალიტეტი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტს, მონიტორინგის მონაცემების თანახმად, გენდერული პროგრამებისთვის გაწერილი აქვს 13 000 ლარი. კონკრეტულად კი გენდერული თანასწორობის პროგრამა (2 500 ლ.) და „ქალთა ოთახები“ (1 500 ლ.) შეტანილი აქვს განათლების ქვეპროგრამაში (კოდი - 04 02).¹⁸ ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ან მცხოვრები მოქალაქეებისთვის დახმარების გაწევას გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული პრობლემის მოგვარებაში და ამ კუთხით ცნობადობის ამაღლებაში. ქვეპროგრამით ასევე გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ან მცხოვრები ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირებისთვის 500 ლარის ოდენობით ერთჯერადი დახმარების გაწევა (ჯამში - 9 000 ლ.)¹⁹.

❖ ზუგდიდის მუნიციპალიტეტი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ერთ-ერთი პრიორიტეტია ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა, სადაც ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის გასაწევი მხარდაჭერის სერვისები და დახმარებები გაერთიანებულია სხვა მოწყვლად ჯგუფებთან.

„ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის“ პროგრამა, სადაც ქვეპროგრამის სახით გათვალისწინებულია „ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა“ (120 ლარი, ქვეპროგრამის კოდი 06 02 03), ითვალისწინებს მრავალშვილიანი და ახალშობილთა ოჯახების ერთჯერად დახმარებას, მარტოხელა მშობლების და დედ-მამით ობოლი ბავშვების ყოველთვიურ დახმარებას, ქალთა მიმართ ან/და ოჯახის ძალადობის მსხვერპლთა ფინანსურ მხარდაჭერას ან მოქმედ კრიზისულ ცენტრში განთავსებას. ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება განისაზღვრება 800 ლარამდე ოდენობით სტატუსის მოქმედების

¹⁶ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №27, „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“; 2019 წლის 26 დეკემბერი, მ.14, 15. 4.4. (პროგრამის კოდი - 06 09); ხელმისაწვდომია - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4750231?publication=3>

¹⁷ იქვე, მ.15 პ.38

¹⁸ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №32 „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“; 2019 წლის 27 დეკემბერი; მ.15; ხელმისაწვდომია - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4753569?publication=3>

¹⁹ იქვე, მ.15, ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე ქალების ფინანსური მხარდაჭერა

ვადის შესაბამისად.²⁰ ბიუჯეტში ასევე ასახულია „სხვადასხვა მიზეზით უსახლკაროდ დარჩენილთა და დაზარალებულთა ხელშეწყობის“ ქვეპროგრამა (140 000 ლარი, კოდი 06 02 09), რაც სხვა მოწყვლად ჯგუფებთან ერთად გულისხმობს ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირის უსახლკაროდ დარჩენის შემთხვევაში ბინის ქირით უზრუნველყოფას (100 ლარის ოდენობით ყოველთვიურად).²¹ ძალადობის მსხვერპლი ქალების მხარდაჭერა ასევე გათვალისწინებულია ქვეპროგრამაში „სოციალურად დაუცველი ოჯახების და მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერის მიზნით წარმოდგენილი პროექტების თანადაფინანსება“ (50 000 ლარი, კოდი 06 02 12), რომელიც მიზნად ისახავს მოწყვლადი ჯგუფების (სოციალურად დაუცველი, შშმ, მრავალშვილიანი, ძალადობის მსხვერპლი, ზრუნვის სისტემიდან გასული, მარჩენალდაკარგული და ა. შ.) ჩართულობას პროექტებში, ასევე - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალური საწარმოების განვითარების ხელშეწყობას.²² აღნიშნული პროგრამა გრძელვადიანი მხარდაჭერის სერვისის საკმაოდ კარგ მაგალითს წარმოადგენს.

ზემოთ აღნიშნული ქვეპროგრამების განმახორციელებელი ორგანოა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის სოციალური დაცვის და გენდერული თანასწორობის განყოფილება. მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტის მერიას ფინანსური დახმარების გაწევის მიზნით მიმართა 18-მა ოჯახში ძალადობის მსხვერპლმა.

❖ ხონის მუნიციპალიტეტი

ხონის მუნიციპალიტეტში „სოციალური დაცვის“ პროგრამაში გათვალისწინებულია „ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირის ბინის ქირით უზრუნველყოფის“ ქვეპროგრამა (1 400 ლარი, კოდი 06 02 15), რომელიც ბევრი სხვა მუნიციპალიტეტისგან განსხვავებით, პირდაპირ განსაზღვრავს ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირის ბინის ქირით უზრუნველყოფას (200 ლარის ოდენობით ყოველთვიურად) არა მხოლოდ მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, არამედ ამ მუნიციპალურ ერთეულში ფაქტობრივად მცხოვრები მსხვერპლებისთვის.²³ მიუხედავად იმისა, რომ 2020 წელს „ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირის ბინის ქირით უზრუნველყოფის პროგრამით“ განსაზღვრული თანხის ათვისება არ მომხდარა მომართვიანობის არარსებობის გამო, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში აღნიშნული ჩანაწერი წარმოადგენს საკმაოდ წინ გადადგმულ ნაბიჯს და მსხვერპლის საჭიროებაზე ორიენტირებული მიდგომის საუკეთესო ილუსტრაციას.

მიუხედავად იმისა, რომ ხონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში არ არის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის სხვა რომელიმე პროგრამა, ბიუჯეტის გამოკვეთილ გენდერულ პარამეტრს წარმოადგენს სოციალური დაცვის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს „მრავალშვილიან ოჯახებზე ერთჯერადი ფულადი დახმარების“ და ასევე „რეგისტრირებული სახელმწიფო მზრუნველობიდან ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრირებული ბავშვების ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარების“ ქვეპროგრამებს.

❖ ფოთის მუნიციპალიტეტი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი სოციალური დაცვის ქვეპროგრამებში პირდაპირ ითვალისწინებს „ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის ღონისძიებებს“ (2000 ლარი, კოდი 06 04 12)²⁴, რაც გულისხმობს

²⁰ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 დეკემბრის №51 დადგენილება „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, მ17(ქვეპროგრამის კოდი - 06 02 03); ხელმისაწვდომია -

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4760966?publication=4>

²¹ იგივე, ქვეპროგრამის კოდი - 06 02 09

²² იგივე, ქვეპროგრამის კოდი - 06 02 12

²³ ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №24 „ხონის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 დეკემბრის N106 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ; 2020 წლის 26 აგვისტო; მუხ.17

²⁴ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №12/14, „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 დეკემბრის №29/31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე; 2020 წლის 17 ივლისი; მუხ.17 (ქვეპროგრამის კოდი - 06 04 12);

მსხვერპლის სტატუსის მქონე პირის ერთჯერად დახმარებას 200 ლარის ოდენობით. მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ მუნიციპალიტეტში მხოლოდ ერთი მიმართვა დაფიქსირდა, რომელიც ადგილობრივი ბიუჯეტიდან 200 ლარით დაფინანსდა.

❖ ქუთაისის მუნიციპალიტეტი

ქუთაისის მუნიციპალიტეტში „სოციალური უზრუნველყოფის“ პროგრამა ითვალისწინებს „ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარების“ ქვეპროგრამას, რომელიც 2018 წლიდან ხორციელდება. მიმდინარე წლის ბიუჯეტში აღნიშნული ქვეპროგრამით დახმარება (10 000 ლარი, კოდი 06.02.18), შემოიფარგლება მხოლოდ ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარში მყოფი პირის/ოჯახისათვის, თავშესაფრის დატოვების შემდეგ დამოუკიდებელი ცხოვრებისა და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით დახმარების გაწევით, 100 ლარის ოდენობით, 1 წლის ვადით²⁵. 2020 წლის საანგარიშო პერიოდში დახმარება გაეწია 3 ბენეფიციარს. 6 თვის მონაცემებით, დახარჯულმა თანხამ შეადგინა 1 400 ლარი. აღნიშნული მომსახურების მხოლოდ თავშესაფარში მყოფი, სტატუსის მქონე მსხვერპლებისთვის შეზღუდვა, ბუნებრივია, დახმარების მიღმა ტოვებს ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ქალებს, რომელთაც არ მიუძღრათ თავშესაფრისთვის, თუმცა საჭიროებენ მხარდაჭერას. მონიტორინგის თანახმად გამოვლინდა, რომ აღნიშნული პრაქტიკა განპირობებულია მუნიციპალიტეტში გადაწყვეტილების მიმღებ პირთა სუსტი გენდერული მგრძობელობით და ძალადობის მსხვერპლის დახმარების კრიტერიუმების მიმართ კრიტიკული მიდგომებით. გენდერული საბჭოს წარმომადგენელთა მიერ იგეგმება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში აღნიშნული კრიტერიუმის გადახედვის საკითხის დაყენება.

საგულისხმოა ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული მიდგომა, რომელიც ასახულია ბიუჯეტის ჩანაწერში გარე განათების შესახებ - „ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში მოსახლეობის (განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების) უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათებას. შესაბამისად, საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება. დღეის მდგომარეობით, გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს დასახლებული ტერიტორიის 100%-ზე“²⁶. გენდერული საკითხებისა და მასთან დაკავშირებული პრობლემატიკის აღქმის გაძლიერების საკითხი მოქცეულია „განათლების“ ქვეპროგრამაში (კოდი 04 00) საბავშვო ბაგა-ბაღების აღსაზრდელთა განვითარების ნაწილში.²⁷ თუმცა ბიუჯეტის პროგრამულ ნაწილში არ არის დაკონკრეტებული ამ მიმართულებით განსახორციელებელი არცერთი ღონისძიება.

❖ სენაკის მუნიციპალიტეტი

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის მიმართულებით სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში „სოციალური დაცვის“ პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია „სოციალური ადაპტაციისათვის სამზრუნველო ქსელის და ძალადობის მსხვერპლთა დაცვის ღონისძიებების გატარების პროგრამა“ (20 000 ლარი, კოდი 06 02 07)²⁸, რომელიც ითვალისწინებს მსხვერპლის სტატუსის მქონე პირთათვის ერთჯერად დახმარებას 200 ლარის ოდენობით. აღნიშნული

ხელმისაწვდომია - <https://matsne.gov.ge/document/view/4929251?publication=0>

²⁵ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №133 „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, 2019 წლის 25 დეკემბერი. პროგრამული კოდი -06 02 18; ხელმისაწვდომია - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4740212?publication=5>

²⁶ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №133 „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, 2019 წლის 25 დეკემბერი. მ13. პროგრამული კოდი - 02 03; ხელმისაწვდომია - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4740212?publication=5>

²⁷ იქვე, 3. განათლება (კოდი 04 00).

²⁸ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №15; სენაკის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ, 2019 წლის 24 დეკემბერი, მუხ.17; პროგრამული კოდი - 06 02 07; ხელმისაწვდომია - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4746759?publication=3>

ქვეპროგრამა ასევე ითვალისწინებს ბინის ქირით უზრუნველყოფას (200 ლარის ოდენობით), უსახლკაროდ დარჩენილ და მძიმე სოციალურ მდგომარეობაში მყოფ პირთათვის, თუმცა მათ შორის ვერ ვხვდებით ჩანაწერს ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის. მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში ფუნქციონირებს ა(ა)იპ სენაკის მზრუნველობამოკლებულთა კვების ცენტრი, რომელიც ახორციელებს ყოველდღიურად ბენეფიციართათვის უფასო სადილის მიწოდებას. აღნიშნული პროგრამით საჭიროებისამებრ სარგებლობენ ძალადობის მსხვერპლი პირები²⁹. მიმდინარე წელს მერიას დახმარებისთვის მიმართა ორმა მსხვერპლმა, რომლებზეც გაიცა ერთჯერადად 200-ლარიანი დახმარება და რომლებიც ასევე სარგებლობენ ბინის ქირის პროგრამით.

❖ წყალტუბოს მუნიციპალიტეტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტს სოციალური დაცვის პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული აქვს „მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა ერთჯერადი ფულადი დახმარების“ ქვეპროგრამა (455 700 ლარი, კოდი 06 02 05)³⁰, რომელიც სხვა ბენეფიციართა შორის ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირთა ბინის ქირით უზრუნველყოფას 150 ლარის ოდენობით, წლის განმავლობაში არაუმეტეს 1800 ლარისა.

აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მსხვერპლის სტატუსის მქონე პირთა სოციალური დახმარება გინეკოლოგიის ან/და რეპროდუქტოლოგიის კონსულტაციით ან/და შესაბამისი სამედიცინო კვლევებით, პირზე არაუმეტეს 200 ლარისა (კოდი - 06 02 05). საგულისხმოა ასევე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში კულტურულ ღონისძიებებში საგანმანათლებლო ქვეპროგრამად ჩაშლილი გენდერული თანასწორობის საკითხი (კოდი 05 02 02), თუმცა არ არის დაკონკრეტებული ღონისძიებები აღნიშნული თემის ფარგლებში.³¹

❖ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს ძალადობის მსხვერპლთა დახმარების პროგრამები მკაფიოდ გამოკვეთილი არ აქვს. ბიუჯეტი ითვალისწინებს მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამას (კოდი 06 02 09), სადაც ძალადობის მსხვერპლ ქალთა დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფა ინტეგრირებულია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ხანძრისა და მეწყრისაგან დაზარალებული, ასევე საცხოვრებლად უვარგისი სახლების მქონე ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფასთან ერთად. გარდა ამისა, ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება შერწყმულია ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამაში (კოდი - 06 02 14) სხვა სამიზნე მოწყვლად ჯგუფებთან.

❖ თერჯოლის მუნიციპალიტეტი

მსხვერპლთა დახმარების კუთხით **თერჯოლის მუნიციპალიტეტის** ბიუჯეტშიც არ არის მკვეთრად გამოყოფილი ძალადობის მსხვერპლ პირთა მხარდაჭერის პროგრამები. თუმცა მონიტორინგის ფარგლებში დადგინდა, რომ სოციალური დახმარების პროგრამის კორექციის შედეგად სოციალური დაცვის პროგრამის სამიზნე ჯგუფს დაემატა ძალადობის მსხვერპლი.³² კერძოდ, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2019 წლის 5 ივნისს შეიტანა ცვლილება „უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის ქირით უზრუნველყოფის 2019 წლის პროგრამაში“, რის შემდეგადაც პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორიას დაემატა ძალადობის მსხვერპლი პირები,

²⁹ იქვე, პროგრამული კოდი - 06 02 01; ხელმისაწვდომია - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4746759?publication=3>

³⁰ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №43, „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, 2019 წლის 26 დეკემბერი; მუხ.17; ხელმისაწვდომია - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4749638?publication=6>

³¹ იქვე, მ16. (ქვეპროგრამის კოდი - 05 02 02)

³² თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისაგან (ნინო ჯანელიძე) სატელეფონო კავშირით მიღებული ინფორმაცია

რომელთაც არ გააჩნიათ სხვა საცხოვრებელი ფართი (განკარგულება №46 35. 05.06.2019)³³. 5 ივნისს ასევე ცვლილება შევიდა თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარების 2019 წლის პროგრამაში. პროგრამით მოსარგებლეთა კატეგორიას დაემატა **ძალადობის მსხვერპლი პირები** (განკარგულება №46 41. 05.06.2019)³⁴.

გარდა ამისა, თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულია მარტოხელა დედის დახმარების სრულიად ახალი პროგრამა, რომლის თანხა შეადგენს 10 000 ლარს (პროგრამული კოდი - 06 02 01)³⁵. დღეისათვის პროგრამით სარგებლობს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 9 მარტოხელა მშობელი, რომლებიც ყოველთვიურად 50 ლარის ოდენობით დახმარებას იღებენ ადგილობრივი ბიუჯეტიდან. საგულისხმო ფაქტია ისიც, რომ სამიზნე მუნიციპალიტეტებიდან თერჯოლის მუნიციპალიტეტი არის ერთადერთი, რომლის საკრებულოს თავმჯდომარე არის ქალი.

❖ **ბაღდათის მუნიციპალიტეტი**

ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პირველად ვერსიაში „თანადგომის საჭიროების მქონე ოჯახთა დახმარების ქვეპროგრამის“ ფარგლებში გათვალისწინებული იყო ერთჯერადი დახმარება არაუმეტეს 300 ლარისა, მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები ოჯახებისთვის, რომლებიც იმყოფებოდნენ ეკონომიკურ სიდუხჭირეში ან/და მოულოდნელ კრიზისულ ვითარებაში. დახმარების მისაღები კრიტერიუმების ჩამონათვალში ოჯახში უნდა ყოფილიყო ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირი (50 000 ლარი, კოდი 05 02 027).³⁶ თუმცა ბიუჯეტის კონსოლიდირებულ ვერსიაში „თანადგომის საჭიროების მქონე ოჯახთა დახმარების პროგრამაში“ (კოდი 06 02 07) ვეღარ ვკითხულობთ დახმარებას ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე ქალებისთვის³⁷.

❖ **ქობულეთის მუნიციპალიტეტი**

ქობულეთის მუნიციპალიტეტში არ არის გათვალისწინებული ძალადობის მსხვერპლთა დახმარების პროგრამა. აღნიშნული მიმართულებით მუშაობა, ფაქტობრივად, არ ხორციელდება. მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ ქალაქის პირველ პირებს არ აქვთ გაცნობიერებული ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის სერვისების შექმნის აუცილებლობა. მიზეზად სახელდება მსხვერპლთა მიმართვიანობის არარსებობა. მონიტორინგისას გენდერზე პასუხისმგებელმა პირმა გაიხსენა, რომ გენდერული თანასწორობის საბჭოს მიმართ ძალადობის მხოლოდ ერთმა მსხვერპლმა, რომელიც სხვა მუნიციპალიტეტის მცხოვრები აღმოჩნდა. ქობულეთის მუნიციპალიტეტმა აჭარის ჯანდაცვის სამინისტროსთან მედიაციის საშუალებით შეძლო აღნიშნული ბენეფიციარის დახმარება და თავშესაფარში გადამისამართება. მიუხედავად იმისა, რომ გენდერული თანასწორობის საბჭოს

³³ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება „უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის ქირის უზრუნველყოფის 2019 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 14 იანვრის N 46 13 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, მ1; ხელმისაწვდომია - http://www.terjola.gov.ge/sites/default/files/gankarguleba_n_46_35_cvileba_binis_kirit_uzrunvelqopis_ganakrgulebashi.pdf

³⁴ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება „თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარების 2019 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 14 იანვრის N46 12 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, მ2; ხელმისაწვდომია - http://terjola.gov.ge/sites/default/files/gankarguleba_n_46_41_cvileba_ertjeradi_pinansuri_daxmarebis_programashi.pdf

³⁵ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №27, „თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“; 2019 წლის 30 დეკემბერი; მუხ.17; ხელმისაწვდომია - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/476207?publication=7>

³⁶ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №24 დადგენილება „ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“; 27.12.19; (პირველადი სახე); ხელმისაწვდომია - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4754169?publication=0>

³⁷ იგივე, მ20 (კონსოლიდირებული ვერსია); ხელმისაწვდომია - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4754169?publication=5>

გაწერილი აქვს სამოქმედო გეგმა (რაც დაკავშირებულია ძალადობის პრევენციასთან) და ბიუჯეტში „კულტურის განვითარების ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია „კულტურული ღონისძიების დაფინანსების“ ქვეპროგრამა, რომელშიც მითითებულია გენდერული თანასწორობის საკითხებში საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ინფორმირება (კოდი 05 02 05),³⁸ მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტს არ გააჩნია გენდერული თანასწორობის პოლიტიკის გატარების, ძალადობის პრევენციის და მსხვერპლთა დახმარების კუთხით რაიმე ხედვა და კონკრეტული ღონისძიებების დაგეგმვის მოტივაცია. საყურადღებოა ისიც, რომ მუნიციპალიტეტს აქვს „ქალთა ოთახები“, თუმცა მისი ფუნქციური გამოყენება არ ხდება. მონიტორინგის შედეგად გაირკვა, რომ „ოთახს“ იყენებს სხვა სამსახური, რადგან აქამდე ვერ მოხერხდა „ქალთა ოთახის“ კოორდინატორის დანიშვნა და მის ასამუშავებლად რესურსების გამოყოფა.

2.3. მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებათა კვლევა და მონაცემებზე დაფუძნებული პროგრამების შემუშავება

მონიტორინგის ფარგლებში მიღებული ინფორმაციით, თითოეული სამიზნე მუნიციპალიტეტის საკონტაქტო პირმა ხაზი გაუსვა ფონდი „სოხუმის“ როლს გენდერული თანასწორობის საბჭოების გაძლიერების საქმეში. აღნიშნა, რომ ცალკეულ მუნიციპალიტეტებში³⁹ გენდერული საბჭოს ინიციატივით და ფონდი „სოხუმის“ დახმარებით ჩატარდა ბენეფიციართა საჭიროებების კვლევა, რაც საფუძვლად დაედო საბიუჯეტო პროგრამებს. თუმცა კვლევამ ცხადყო, რომ, მიუხედავად ამისა, უმრავლესობა მათგანში მაინც არ ხდება ძალადობის მსხვერპლთა და რისკ-ჯგუფის ოჯახების შესახებ საკმარისი ინფორმაციის შეგროვება და საჭიროებათა გამოვლენა. საბოლოოდ კი მუნიციპალურ ბიუჯეტებში ვხვდებით ისეთი დახმარების პროგრამებს, რომლის ათვისება არც მომხდარა, რადგან არ არის მორგებული კონკრეტული მოწყვლადი ჯგუფის საჭიროებებს. მაშინ, როცა, მაგალითად, ქუთაისის მუნიციპალურ სამსახურებში აღნიშნულ საკითხებზე ინფორმირებისათვის საკმაო რესურსი და ძალისხმევა დაიხარჯა (ფონდი „სოხუმის“ მცირე გრანტების პროგრამა), ისინი მაინც არ არიან სათანადოდ ჩართულნი ძალადობის რისკ-ჯგუფებისა და ძალადობის შემთხვევების გამოვლენის საკითხში.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში კი მოსახლეობის საჭიროებათა კვლევა ფრაგმენტულია. სერიოზულ გამოწვევად დასახელდა თვითმმართველობაში მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის კვალიფიციური ცოდნა. არაერთგვაროვანია ამ საკითხთან დაკავშირებით მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლების დამოკიდებულება. მაგალითად, მონიტორინგისას მერის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კვლევისა და ანალიზის პრაქტიკა მუნიციპალიტეტების ყველაზე სუსტი მხარეა და იგი აუცილებლად საჭიროებს განვითარებას, თუმცა საკრებულოს წარმომადგენელმა მოიყვანა კონკრეტული მაგალითები, როგორ ხდება საჭიროებათა კვლევის ორგანიზება. მოქალაქეთა ნაწილმა კი ხაზგასმით აღნიშნა მუნიციპალური სერვისების ეფექტიანობის მონიტორინგის სისტემის დანერგვის აუცილებლობა, რაც ხარჯების მიზნობრიობის საკითხს, ბენეფიციარის მიერ მიღებულ სარგებელს და სერვისებით კმაყოფილების საკითხს შეისწავლის და გააკონტროლებს.

მიუხედავად იმისა, რომ **ხონის მუნიციპალიტეტს** ფორმალურად აქვს დანერგილი ხარისხის მართვის კარგად აპრობირებული მექანიზმი და მონიტორინგისა და შეფასების ფორმები ცალსახად არის გაწერილი „კეთილსინდისიერებისა და გამჭვირვალობის დოკუმენტში“, მუნიციპალური სერვისების შეფასება, ფაქტობრივად, მაინც არ ხორციელდება. თუმცა მუნიციპალიტეტში საჭიროებათა

³⁸ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბერის №13 დადგენილება „ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“. კულტურული განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი - 05 02), კულტურული ღონისძიების დაფინანსება (ქვეპროგრამის კოდი - 05 02 05); ხელმისაწვდომია - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4754025?publication=2>

³⁹ ზუგდიდის, სენაკის, წალენჯიხის, წყალტუბოს, ფოთის, ხონის მუნიციპალიტეტები

იდენტიფიცირების პრაქტიკის მიმართულებით გარკვეული გავლენა იქონია კოვიდ-19-ის პანდემიის პერიოდმა, როცა ხონში აქტიურად მიმდინარეობდა მოსახლეობის ყველაზე მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების გამოვლენა და მათზე რეაგირების ღონისძიებები. მიუხედავად იმისა, რომ პროცესი მკაფიოდ სტრუქტურირებული არ იყო, მას ჰქონდა საკმაოდ პოზიტიური შედეგები. კერძოდ, სწორედ ამ პროცესში გამოიკვეთა მუნიციპალიტეტის შესაძლებლობები საჭიროებათა შესწავლისა და ანალიზის კუთხით.

ბაღდათის მუნიციპალიტეტში არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით ინერგება საჭიროებათა კვლევის ჩატარების პრაქტიკა. მაგალითად, ორგანიზაცია „Worldvision“-ის პროექტის „მოქალაქეთა ჩართულობა ეფექტიანი მმართველობისათვის“ ფარგლებში, 2019 წელს ჩატარებული კვლევის შედეგად, ბიუჯეტში აისახა აუტისტური ბავშვების მხარდაჭერის პროგრამა. მუნიციპალიტეტს შემუშავებული აქვს „პროგრამების ბენეფიციარებზე ზეგავლენის კითხვარი“. აღნიშნული კითხვარით მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე ხდება მოქალაქეთა საჭიროებების განსაზღვრა.

მიმდინარე წელს **ზუგდიდის მუნიციპალიტეტი** არის ერთადერთი, რომელმაც 53 ადმინისტრაციულ ერთეულში შექმნა სამუშაო ჯგუფი „ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის გაძლიერება კოვიდ-19-ით გამოწვეული კრიზისის პერიოდში“, რომლებიც მოწყვლად ჯგუფებზე აგროვებენ ინფორმაციას და ავლენენ მათ სპეციფიკურ საჭიროებებს.

2.4. თვითმმართველობის თანამშრომელთა გადამზადება გენდერულ საკითხებში

ფონდ „სოხუმთან“ თანამშრომლობის შედეგად მუნიციპალიტეტებში შექმნილი გენდერული თანასწორობის საბჭოების უმრავლესობას გაწერილი აქვს 2020 წლის გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმა, რაც მოიცავს თვითმმართველობებში დასაქმებულ პერსონალთა გადამზადებას გენდერულ საკითხებში, რაც ახალი კორონავირუსის პანდემიის გამო სამომავლოდ გადაიდო.⁴⁰

მონიტორინგმა ასევე გამოკვეთა ის მუნიციპალიტეტები (**თერჯოლა, ბაღდათი, ქობულეთი**), რომლებსაც საერთოდ არ ჰქონიათ დაგეგმილი საჯარო მოხელეების გადამზადება და ისინი დღემდე არასამთავრობო ორგანიზაციების ღონისძიებებზე არიან დამოკიდებულნი.

მიმდინარე წელს **ზუგდიდის, სენაკის, წალენჯიხის, ფოთის, ხონის, წყალტუბოს, ქუთაისის, თერჯოლის, ოზურგეთის, ლანჩხუთის და ქობულეთის მუნიციპალიტეტების** ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს შესაძლებლობა ჰქონდათ, მონაწილეობა მიეღოთ ფონდი „სოხუმის“ მიერ ორგანიზებულ ტრენინგზე „ოჯახის გაძლიერების სტრატეგია მუნიციპალური მომსახურების კონტექსტში“, ქალთა საინფორმაციო ცენტრის მიერ ჩატარებულ ონლაინ ტრენინგზე - „ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხები“ და „სოლიდარობის ცენტრის“ გენდერული ფორუმის რეგიონალურ შეხვედრაზე.

ხაზგასასმელია **სენაკის მუნიციპალიტეტის** მიდგომა ადგილობრივ თვითმმართველობაში დასაქმებული საჯარო მოხელეების გადამზადებად. კერძოდ, მათ ბიუჯეტში გათვალისწინებულია თანხა ტრენინგებისთვის (ყოველწლიურად), რომლის საშუალებითაც გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები, სოფლებში მერის წარმომადგენლები და ა(ა)იპ-ის თანამშრომლები იღებენ ცოდნას ოჯახში ძალადობისა და გენდერული საკითხების შესახებ. გარდა ამისა, სენაკის მერიის ინიციატივით, კერძოდ კი მერიის ახალგაზრდული და გენდერის განყოფილების მიერ გამოცხადდა ტენდერი გენდერზე, ბულინგზე, ოჯახში ძალადობისა და ბავშვთა ძალადობის საკითხებზე ტრენინგების ციკლის ჩატარებაზე მერის წარმომადგენლებისათვის სოფლებში და ახალგაზრდებისათვის.

⁴⁰ მონიტორინგის მონაცემებით, **სენაკის, ფოთის, წალენჯიხის, ზუგდიდის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტების** საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოებს თავიანთ სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქვთ გენდერულ საკითხებზე ჩასატარებელი ტრენინგები საჯარო მოხელეებისათვის.

ფოთის მუნიციპალიტეტში თანამდებობის პირთა და ა(ა)იპ-ის თანამშრომლებისთვის მოეწყო 15-მდე შეხვედრა და ტრენინგი ფონდი „სოხუმის“ მხარდაჭერით და არასამთავრობო ორგანიზაცია „ქველმოქმედი-2015“-ის ორგანიზებით⁴¹.

2.5. კოორდინაცია - რეფერირების სუბიექტებთან თანამშრომლობა

მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა ფონდი „სოხუმის“ როლი რეფერალურ სუბიექტებს შორის კოორდინაციის გაძლიერების, მათ შორის ინფორმაციის გაცვლის და თანამშრომლობის გაუმჯობესების საქმეში.

2017 წლიდან ფონდი „სოხუმი“ ცდილობს ადგილობრივ დონეზე უწყებათაშორისი კომისიის მოდელის დანერგვას, დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ მოქმედი რეფერირების მექანიზმის სუბიექტების მონაწილეობით შეხვედრების ორგანიზების და ჩატარების გზით. შეხვედრების მიზანია რეფერალური სისტემის სუბიექტებს შორის ინფორმაციის გაცვლის ხელშეწყობა, სისტემის სუსტი მხარეების უკეთ იდენტიფიცირება და პრობლემათა საერთო ძალისხმევით გადაწყვეტა. მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ პრაქტიკულად არცერთი სამიზნე მუნიციპალიტეტი მსგავს შეხვედრებს დამოუკიდებლად არ ატარებს.

ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების შორის კოორდინაციის და ინფორმაციის გაცვლის გაუმჯობესების მიზნით ფონდი „სოხუმი“ სამეგრელო-ზემო სვანეთის, გურიისა და იმერეთის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატის ოფისში ორგანიზებას უწყევს საინფორმაციო შეხვედრებს საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს და მერიასთან არსებული გენდერზე პასუხისმგებელ პირთა ჩართულობით. აღნიშნული შეხვედრები ემსახურება სახელმწიფო რწმუნებულის ინფორმირების გაზრდას მუნიციპალიტეტებში არსებული სერვისების, გენდერული პოლიტიკის დანერგვის მიმართულებით არსებული პროგრესის და გამოწვევების შესახებ და ცენტრალურ ხელისუფლებასთან მუნიციპალიტეტების ეფექტური კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად, მისი როგორც შუამავალი რგოლის როლის გაზრდას.

საკოორდინაციო მექანიზმის ინსტიტუციონალიზების თვალსაზრისით შეიძლება გამოიყოს **ზუგდიდის და სენაკის მუნიციპალიტეტები**, რომლებშიც მერის შესაბამისი ბრძანებით, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის საკითხებზე სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად შეიქმნა „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების უწყებათაშორისი კომისია“.⁴²

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში გამოიკვეთა გენდერული თანასწორობის საბჭოსა და მერიაში გენდერზე პასუხისმგებელ პირებს შორის თანამშრომლობის საკმაოდ კარგი პრაქტიკა. **ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ხაზი გაესვა** „ქალთა ოთახების“ მნიშვნელობას, რამაც გენდერულ საკითხებზე ინფორმაციის მისაღებად სივრცის შექმნის გზით, გააუმჯობესა თვითმმართველობისა და მოწყვლადი ჯგუფების უფრო მჭიდრო კომუნიკაცია. მონიტორინგის პროცესში გამოიკვეთა **მუნიციპალიტეტების მოტივაცია, გაძლიერდეს თანამშრომლობა როგორც არასამთავრობო სექტორთან, ასევე სოციალურ სააგენტოსთან და სახელმწიფო ფონდთან**. ასევე დაფიქსირდა მოსაზრება **ინტერმუნიციპალური თანამშრომლობის** გაძლიერების აუცილებლობაზე, რაც უზრუნველყოფს განსაკუთრებით მცირე ფინანსური რესურსის მქონე მუნიციპალიტეტების რესურსების კონსოლიდაციას და ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ბენეფიციართა საჭიროებაზე მორგებული სერვისების შექმნას.

⁴¹არასამთავრობო ორგანიზაცია „ქველმოქმედი-2015“ ფონდი „სოხუმის“ საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელია ფოთის მუნიციპალიტეტში და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების ჩართულობით ყველა ღონისძიებას ორგანიზებას უწყევს ფონდი „სოხუმის“ ფინანსური მხარდაჭერით.

⁴² მერის ბრძანება „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების უწყებათაშორისი კომისიის შექმნის შესახებ“; ხელმისაწვდომია -

<http://zugdidi.mun.gov.ge/ge/zugdidi-municipalitetis-kalta-mimart-zaladobis-anda-oxaxshi-zaladobis-agkvetis-zaladobis-msxverplta>

მონიტორინგმა კიდევ ერთხელ დაადასტურა რეფერირების მექანიზმის სუბიექტებს შორის თანამშრომლობის არასაკმარისი ხარისხი და კოორდინაციის მიმართულებით დამოუკიდებელი ინიციატივების და შეხვედრების ორგანიზების საჭიროება.

3. დასკვნა და რეკომენდაციები

მონიტორინგმა გამოკვეთა სამიზნე მუნიციპალიტეტებს შორის სხვადასხვა სახის სირთულე და გამოწვევა. მათ შორის, აშკარად თვალშისაცემია თვითმმართველ ერთეულებს შორის სხვაობა გენდერული ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში გამოვლენილი ძალისხმევისა და კომპეტენციის მხრივ.

დღემდე პრობლემად რჩება ინსტიტუციური მექანიზმების სისუსტე თითოეულ სამიზნე მუნიციპალიტეტში. გენდერული საბჭოების მუშაობა მუნიციპალიტეტებში საკმაოდ ფრაგმენტულია და სუსტია მათი გავლენა ადგილობრივ სოციალურ და გენდერულ პოლიტიკაზე. პრაქტიკულად არ არსებობს ანგარიშგება მათ მიერ გაწეულ საქმიანობაზე. უმეტეს მუნიციპალიტეტში იკვეთება გენდერული თანასწორობის საკითხებისადმი საკმაოდ დაბალი მგრძნობელობა და დაინტერესება, რაც გამოიხატება გენდერული თანასწორობის საბჭოების წარმომადგენელთა იშვიათი შეხვედრებითა და ადგილებზე გენდერული პოლიტიკის გატარების სუსტი ტემპით. ნათელია, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ძალისხმევის გარეშე გენდერული თანასწორობის არსებული მექანიზმები დღემდე ვერ შეძლებდნენ დამოუკიდებლად გენდერული პოლიტიკის დანერგვის მიმართულებით ქმედითი საქმიანობის განხორციელებას.

ადგილობრივი თანამდებობის პირების მიერ გენდერული პოლიტიკის გატარება დიდწილად არის დამოკიდებული მათ შესაბამის კვალიფიკაციასა და პროფესიონალიზმზე. დღემდე გამოწვევას წარმოადგენს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა, განსაკუთრებით გადაწყვეტილების მიმღებთა და ასევე გენდერზე პასუხისმგებელ პირთა გენდერული მგრძნობელობა და გენდერული პოლიტიკის გასატარებლად შესაბამისი კვალიფიკაცია.

ფაქტობრივად, არცერთ მუნიციპალიტეტში არ არის დანერგილი მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებათა კვლევის და მონაცემებზე დაფუძნებულ ინფორმაციაზე და გენდერულ ანალიზზე დაყრდნობით სერვისების შეთავაზების პრაქტიკა.

გამოწვევაა მოსახლეობის ინფორმირებულობა ადგილობრივი სერვისების შესახებ. მოსახლეობის დიდი ნაწილი არ ფლობს ინფორმაციას ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მხარდასაჭერად არსებული მომსახურების შესახებ.

კვლავ გამოწვევად რჩება გენდერული ბიუჯეტის არსებობა მუნიციპალიტეტებში. სამიზნე მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში ძალადობის მსხვერპლთა დახმარების სერვისები ქვეპროგრამებად არის ჩაშლილი სოციალურ, ჯანდაცვის, საგანმანათლებლო და კულტურულ პროგრამებში. სუსტია გენდერული თანასწორობის საბჭოების ჩართულობა ადგილობრივი ბიუჯეტის დაგეგმვა-შემუშავების პროცესში.

საკმაოდ დიდ და სასიგნალო გამოწვევად რჩება კოორდინაციის სისუსტე უმრავლეს სამიზნე მუნიციპალიტეტში, როგორც ადგილობრივ შიდა უწყებრივ დონეზე, ასევე ცენტრალურ, სამხარეო ადმინისტრაციასა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის თანამშრომლობის თვალსაზრისითაც. სუსტია რეფერირების მექანიზმის რელევანტურ სუბიექტებს შორის თანამშრომლობის და ინფორმაციის გაცვლის პრაქტიკაც.

მიუხედავად იმისა, რომ მონიტორინგის შედეგებმა გამოავლინა ზოგიერთი მუნიციპალიტეტის გააქტიურება ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის თუ რეაგირების პროგრამებისა და სერვისების

დანერგვის თვალსაზრისით, კვლავ ბევრია გასაკეთებელი ადგილობრივ პოლიტიკაში **გენდერული თანასწორობის დანერგვის მიმართულებით.**

მონიტორინგის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციები:

ადგილობრივ თვითმმართველობას:

- ✓ გენდერული თანასწორობის საბჭოს მუშაობის გააქტიურება და მისი როლის წამოწევა მუნიციპალიტეტში გენდერული პოლიტიკის გატარების და ბიუჯეტის ფორმირების პროცესში;
- ✓ თვითმმართველობებში მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებათა კვლევის და გენდერული ანალიზის პრაქტიკის დანერგვა, სქესისა და ასაკის ნიშნით დანაწევრებული სტატისტიკის წარმოება და მხოლოდ მტკიცებულებებზე დაფუძნებულ მონაცემებზე დაყრდნობით მუნიციპალური პროგრამის შემუშავება;
- ✓ ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის გრძელვადიანი სერვისების შექმნა და მეტი რესურსის გამოყოფა;
- ✓ ძალადობის მსხვერპლთა საჭიროებაზე დაფუძნებული სერვისების შეთავაზება და დახმარების მისაღებად არსებული ბარიერების მოხსნა (მაგ., მსხვერპლის სტატუსის, მუნიციპალიტეტში რეგისტრაციის ან/და თავშესაფარში ბენეფიციარად აღრიცხვის პირობის მოხსნა);
- ✓ მუნიციპალიტეტში ძალადობის მსხვერპლ პირთათვის არსებული მომსახურების ეფექტიანობის და მსხვერპლის საჭიროებაზე მათი მორგებულობის შეფასება; სწორედ შეფასების საფუძველზე შესაბამისი სერვისების შეთავაზება;
- ✓ მოსახლეობის აქტიური ინფორმირება მუნიციპალიტეტში არსებული სერვისების შესახებ;
- ✓ გენდერული თანასწორობის საბჭოს კვალიფიკაციის და როლის გაზრდა გენდერულ საჭიროებათა კვლევის ჩატარების საქმეში, გამოვლენილი ინფორმაციის საფუძველზე გენდერული თანასწორობის განმტკიცების ხელშემწყობი და ოჯახში ძალადობის პრევენციასა და რეაგირებაზე მიმართული პროგრამების ინიცირება;
- ✓ გენდერული თანასწორობის საბჭოს და გენდერზე პასუხისმგებელ პირთა უნარების ამაღლება, საჭიროებათა კვლევის და გენდერული ანალიზის საკითხებში;
- ✓ რეფერალური სისტემის ყველა სუბიექტს შორის კოორდინაციის და თანამშრომლობის გაძლიერება, უწყებათაშორისო კომისიის შექმნის და სისტემატური შეხვედრების უზრუნველყოფის გზით;
- ✓ საკრებულოსა და მერიის თანამშრომელთა გენდერული თანასწორობის საკითხებზე ცოდნის შეფასება და საჭიროებების კვლევა და, საჭიროებების შესაბამისად, მათი კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადებისთვის ადგილობრივ ბიუჯეტში თანხის გამოყოფა.

სახელმწიფო რწმუნებულის აპარატს

- ✓ რეგიონში არსებული ადგილობრივი გენდერული თანასწორობის მექანიზმების წარმომადგენელთა მონაწილეობით საინფორმაციო შეხვედრების პრაქტიკის დანერგვა;
- ✓ მოდერატორის როლის შესრულება ადგილობრივი თვითმმართველობისა და ცენტრალური ხელისუფლების შესაბამის უწყებებს შორის; მუნიციპალიტეტების წინაშე არსებული პრობლემების და მათი გადაწყვეტის შესაბამისი რეკომენდაციების ცენტრალური ხელისუფლებისთვის კომუნიკაცია.

ცენტრალურ ხელისუფლებას:

- ✓ სახელისუფლებო სტრუქტურების მხრიდან (გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის, პარლამენტთან არსებული გენდერული თანასწორობის საბჭოს, ინფრასტრუქტურის სამინისტროს) მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობის და კომუნიკაციის გაძლიერება გენდერული თანასწორობის პოლიტიკის საკითხთა ირგვლივ;

- ✓ გენდერული თანასწორობის კანონმდებლობის შესასრულებლად არსებულ ნაციონალურ სამოქმედო გეგმებში მუნიციპალიტეტის როლის გაზრდა და აღნიშნული გეგმების ადგილობრივ დონეზე ლოკალიზაციის (ადგილებზე დანერგვის) ხელშეწყობა;
- ✓ უწყებათაშორისი კომისიის მიერ რეგიონში სახელმწიფო რწმუნებულის აპარატისთვის რეკომენდაციის მიცემა ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენელთა მონაწილეობით შეხვედრების ორგანიზების შესახებ, მათი საქმიანობის კოორდინაციის და ინფორმაციის გაცვლის უზრუნველყოფის მიზნით; და აღნიშნული შეხვედრების შესახებ ანგარიშგება;
- ✓ უწყებათაშორისი კომისიის და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ ადგილობრივ თვითმმართველობას დაევალოს პროაქტიული მოქმედება გენდერული თანასწორობის პოლიტიკის გატარების მიმართულებით; ასევე ფინანსური რესურსის გათვალისწინება თანამშრომელთა გენდერულ საკითხებში გადამზადების მიზნით.



კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“

მონიტორინგის ანგარიშზე მუშაობდა
ფონდი „სოხუმის“ თბილისის წარმომადგენლობა:
ეკატერინე გამახარია
ლიდა ჩიხლაძე

მონაცემთა შეგროვებაზე მუშაობდნენ:
ქუთაისის სათაო ოფისის
მონიტორინგის ჯგუფის წევრები:
ემა კამკია, თეა გოლეტიანი, ხათუნა გოგუა

რედაქტორი - ლალი შენგელია

მისამართი:

ქ. თბილისი, ა. მიცკევიჩის ქ. #29 ბ, საოფისე ფართი #2

ქ. ქუთაისი, მაგალობლიშვილის ქ. 6

ელფოსტა: womansukhumi@gmail.com

fundsukhunitbilisi@gmail.com

ვებგვერდი: www.fsokhumi.ge

ფეისბუქგვერდი: www.facebook.com/fsokhumi/